აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 37

6 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

პარტიული სიისა და უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, რეგისტრაციაში გატარდეს პოლიტიკური გაერთიანების „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“-ს პარტიული სია და პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები რიგითობის შეუცვლელად (გარდა უმაღლეს საბჭოს წევრობის კანდიდატებისა პარტიული სიის რიგით №15 ჯიბლაძე თენგიზ და №26 ლასურიძე ნინო).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე